ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 3

ქ. ლანჩხუთი **24.02.2020**
11:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.**
კომისიის წევრები: ზაზა წულაძე, კარლო კვიტაიშვილი, ზურა კუკულავა, ოთარ პატიეშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ალექსანდრე მახათაძე, ირაკლი მარშანიშვილი, ოთარ პატიეშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 5; **წინააღმდეგი -არცერთი.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა

გიორგი ნაჭყებია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 107-ე მუხლის თანახმად სამსახურმა მოახდინა ქ.ლანჩხუთში, გორგასალისა და ჟორდანიას ქუჩების (ჩრდილოეთით და სამხრეთით) მიმდებარედ არსებული 206 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაცია. შემდგომ ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება დაიყო 20კვ.მ და 186 კვ.მ. მიწის ნაკვეთებად. რეგისტრაციის დროს საჯარო რეესტრის რეგისტრატორის მიერ მოხდა როგორც ტრიტუარის (ს/კ 27.06.51.334 ; ს/კ 27.06.51.333) რეგისტრირება. განმეორებითი მიმართვის შემდეგაც რეგისტრაციის დასახელებაში ცვლილება არ მოხდარა. არც რეგისტრაციის დროს და არც ამჟამად ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონებები ტროტუარს, როგორც ძირითად ქონებას ფაქტობრივად არ წარმოადგენენ. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"-ს 121-ე მუხლის თანახმად მოხდეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონებებისთვის ძირითადი ქონების სტატუსის შეცვლა საკრებულოს განკარგულებით და შემდგომ მერის ბრძანების შესაბამისად მოხდეს მათი როგორც დამატებით ქონებად რეგისტრაცია, შემდგომში მათი პრივატიზების ან სარგებლობის გაცემის მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ თანხმობა მიეცეს მერს არა მხოლოდ 20კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არამედ მის მიმდებარედ განთავსებულ 186კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზეც (აღნიშნული ფართობები ერთ მთლიანობას წარმოადგენენ). აღნიშნულ ფართობებს დღეის მდგომარეობით დაკარგული აქვთ ფუნქცია და მათი მთლიანობაში გასხვისება გაცილებით გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მოსმენილ 5, წინაადმდეგი არცერთი.					

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: / გიორგი ჩახვაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №3

24.02.2020 წელი
11.30 საათი

მოგახსენებთ, რომ მიჩდინარე წლის 24 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომაზე განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით. კერძოდ;

თანხმობა მიეცეს მერს არა მხოლოდ **20**კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არამედ მის მიმდებარედ განთავსებულ 186კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზეც (აღნიშნული ფართობები ერთ მილიანობას წარმოადგენენ). აღნიშნულ ფართობებს დღეის მდგომარეობით დაკარგული აქვთ ფუნქცია და მათი მილიანობაში გასხვისება გაცილებით გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.02. 2020 წელი
11:30 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	11.20	
2	ზაზა წულაძე	11.20	
3	კარლო კვიტაიშვილი	11.25	
4	ალექსანდრე მახათაძე	არ ესწრებოდა	
5	ზაალ სანაძე	არ ესწრებოდა	
6	ოთარ პატიეშვილი	11.20	
7	ზურაბ კუკულავა	11.25	
8	ირაკლი მარშანიშვილი	არ ესწრებოდა	
9	გოგი მორჩილაძე	შვებულებაში	